ქალბატონო ნინო,

თქვენი №9198 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2016 წლის 30 დეკემბრის N23/4 გადაწყვეტილებით გორის მაჟორიტარი დეპუტატის (იოსებ მაკრახიძე) ბიუროსთვის საქართველოს პარლამენტის ბიუჯეტიდან უფლებამოსილების განხორციელებისათვის გამოყოფილი ყოველთვიური ფონდი შეადგენს 4300.00 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2017 წელს ბიუროსთვის გამოყოფილი ფონდი შეადგენს 51600.00 ლარს (4300.00*12=51600.00), ხოლო 2018 წლის 5 თვეში შეადგინა 21500.00 ლარი (4300,00*5=21500.00).

რაც შეეხება გასულ წლებში გორის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს დაფინანსებას, გაცნობებთ, რომ საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 31 იანვრის №5683-რს დადგენილებით მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეულ პარლამენტის წევრს ამომრჩევლებთან ურთიერთობისა და მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის პარლამენტის ბიუჯეტიდან ყოველთვიურად გამოეყოფოდა 534.00 ლარი (01.01.2008-დან 01.09.2008-მდე.), ხოლო 2008 წლის 1 სექტემბრიდან – 1070.00 ლარი (01.09.2008-დან 01.01.2009-მდე). 2008 წლის ფონდი არის 21368.00 ლარი (534.00*8+1070.00*4=21368.00).

საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 26 დეკემბრის №915-რს დადგენილებით 2009 წლის იანვრიდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად აფხაზეთიდან (კოდორის ხეობა), ცხინვალის რეგიონიდან, გორის და ახალგორის მუნიციპალიტეტიდან დევნილ ამომრჩევლებთან ურთიერთობის მიზნით საქართველოს პარლამენტის ბიუჯეტიდან ყოველთვიურად დამატებით გამოეყოთ 1070.00 ლარი და გორის მაჟორიტარ დეპუტატის ბიუროს ყოველთვიურმა დაფინანსებამ შეადგინა 2140.00 ლარი. 2009-2010 წლებში შეადგინა 25680.00 ლარი (2140.00*12=25680.00) და 2011 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 14 სექტემბრამდე – 19260.00 ლარი. მაჟორიტარი დეპუტატის გიორგი ტატიშვილის გუბერნატორად დანიშვნამდე (პრეზიდენტის განკარგულებით) 2012 წლის 18 ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით გორის მაჟორიტარი დეპუტატის (მალხაზ ვახტანგაშვილი) ბიუროს ფონდმა შეადგინა 2340.00 ლარი. საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 17 დეკემბრის №90-Iს დადგენილებით მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული პარლამენტის წევრის ბიუროს ყოველთვიური ფონდი განისაზღვრა 5000.00 ლარი. აქედან გამომდინარე, 2013-2015 წლებში ბიუროს წლიური დაფინანსება შეადგენს 60000.00 ლარს. (5000.00*12=60000.00), ხოლო 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 19 ნოემბრამდე – 53333.33 ლარს (5000.00*10+3333.33=53333.33).

გთხოვთ დაგვიდასტუროთ ინფორმაციის მიღება.

პატივისცემით,
ეკატერინე სანაშვილი

საქართველოს პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტი
საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი